საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 295/ს
27/06/2023

295-21-4-202306271713

ქ. ფოთში შპს „ტრანს-ალიანს ფოთის“ ნავთობპროდუქტის საცავის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ტრანს-ალიანს ფოთის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ფოთში, ფალიაშვილის №6-ში ნავთობპროდუქტის საცავის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნავთობპროდუქტის საცავი განთავსებულია ქ. ფოთში, ფალიაშვილის №6-ში, კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაწყობე მეურნეობის ტერიტორიაზე (ს/კ: 04.01.20.015; ფართობი 8 522 $მ^2$), რომელიც გამოიყენება საკონტეინერო ტვირთების დროებითი განთავსებისთვის. ნავთობპროდუქტის საცავი მოწყობილია შპს „ტრანს-ალიანს ფოთის“ კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების დიზელის საწვავით გამართვის მიზნით. ობიექტის განთავსების GPS კოორდინატები: X – 720661, Y – 4672436. ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 130 მეტრით.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა შპს „ტრანს-ალიანს ფოთის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2023 წლის 28 მარტს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №078774 ოქმი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არსებული ნავთობპროდუქტის საცავი წარმოადგენს 62 $მ^3$ მოცულობის მქონე მიწისზედა ჰორიზონტალურ რეზერვუარს, რომელიც განთავსებულია მობეტონებულ ზედაპირზე, ბეტონის ხიმინჯებზე, დაფარულია ანტიკოროზიული მასალით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველით. ობიექტზე ასევე განთავსებულია 2 ერთეული პლასტმასის რეზერვუარი (თითოეული 1 000 ლიტრი), რომლებიც განკუთვნილია დიზელის საწვავის დანამატის - „ADBLUE“-ის შესანახად. „ADBLUE“-ის დანამატი წარმოადგენს წყალში ხსნად სითხეს, რომელიც გამოიყენება გამონაბოლქვი აირების გასანეიტრალებლად. ობიექტზე ასევე მოწყობილია 2 ერთეული ავტოგასამართი სვეტი, რომელთაგან ერთი განკუთვნილია სატრანსპორტო საშუალებების

დიზელის საწვავით გამართვისთვის, ხოლო მეორე - „ADBLUE“-ის დანამატით გამართვისთვის. ავტოგასამართი სვეტები აღჭურვილია სათანადო გადახურვით. ობიექტზე დიზელის საწვავის შემოტანა ხდება ავტოცისტერნის საშუალებით, ხოლო „ADBLUE“-ის დანამატის - 1 000 ლიტრი მოცულობის პლასტმასის ავზებით. ობიექტზე წლის განმავლობაში გათვალისწინებულია მაქსიმუმ 671 549 ლიტრი დიზელის და 13 ტონა „ADBLUE“-ის დანამატის მიღება და რეალიზაცია. ნავთობპროდუქტის საცავი ფუნქციონირებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 სთ.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კომპანიის მიერ დაგეგმილია არსებული ნავთობპროდუქტის საცავის გარშემო ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერის - ბეტონის შემოზვინვის მოწყობა, რომლის შიდა მოცულობა, იქნება რეზერვუარის მოცულობის 110%, ხოლო დიზელის საწვავისათვის განკუთვნილი „ADBLUE“-ის დანამატის რეზერვუარებისთვის გათვალისწინებულია ე.წ. წვეთოვანი უჯრა („Drip tray“). ამასთან, ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების ადგილზე დაგეგმილია თუნუქის კონსტრუქციის გადახურვის მოწყობა, რომელიც პოტენციურად დამაბინძურებელი უბნიდან სანიაღვრე წყლების არიდების მიზნით, აღჭურვილი იქნება საწვიმარი ღარით. ობიექტზე სანიაღვრე წყლების მოხვედრის პრევენციის მიზნით, ნავთობპროდუქტის საცავის გარშემო დამატებით მოეწყობა ბეტონის არხი, ხოლო ნავთობპროდუქტის საცავი შემოისაზღვრება რკინის ღობით და აღიჭურვება ჩამკეტი სარქველით. ნავთობპროდუქტის საცავის სიახლოვეს განთავსდება 10 $მ^3$ მოცულობის, სახანძრო დანიშნულების წყლის ავზი. ობიექტი აღიჭურვება ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებითა და მეხამრიდით. ნავთობპროდუქტის საცავის განთავსების ადგილის გადახურვის, ბეტონის შემოზვინვისა და სანიაღვრე არხის მოწყობისთვის გათვალისწინებული სამუშაოები იქნება მცირე მასშტაბის და ექნება დროებითი ხასიათი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო და სახანძრო დანიშნულებით, რისთვისაც წყალმომარაგება ხორციელდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების სისტემიდან. სამურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში, ხოლო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები დაერთებულია ქალაქის სანიაღვრე ქსელზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტების მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წლის განმავლობაში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა უმნიშვნელოა და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ობიექტის ტერიტორიაზე და იშვიათად გასცდება ნავთობპროდუქტების საცავის

განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, დროებით თავსდება სპეციალურად გამოყოფილ ლითონის დახურულ საცავში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, ჭარბტენიანი, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნავთობპროდუქტის საცავი მოწყობილია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში მსგავსი პროფილის ობიექტ(ებ)ი არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაგზავნილ იქნა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, მასშტაბისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ფოთში შპს ,,ტრანს-ალიანს ფოთის'' ნავთობპროდუქტის საცავის ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს ,,ტრანს-ალიანს ფოთი'' ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ტრანს-ალიანს ფოთის'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ტრანს-ალიანს ფოთის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო